პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2022 წლის _ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

N 53/21

53-21-2-202207121154

12/07/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ქეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით ინფორმაციას ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" 2022 წლის I – II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 2 ფურცლად.

რევაზ მესხი

მმართველი

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპლიტეტის კულტურის ცენტრის" I-II კვარტალის
ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულ ფუნქციას კულტურის ცენტრი წარმართავს თავის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებზე დაყრდნობით. მათ შორისაა 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი, 10 სასოფლო კლუბი, 3 მუზეუმი, ფოლკლორული ანსამბლი "ნადური" და სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი.

ა(ა)იპ "წყალტუბოს მმუნიციპლიტეტის კულტურის ცენტრი" მიზნობრივად წარმართავდა საქმიანობას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მასზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით შესასრულებლად.

კულტურის ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი წარმოადგენს. დამატებით ვიყენებთ საკონცერტო დარბაზის გაქირავებით, მუზეუმების ბილეთების ამონაგებითა და ფასიანი წრეებით მიღებულ შემოსავლებს. მუზეუმის ბილეთების რეალიზაციით, მიმდინარე წლის 6 თვეში შემოსულმა თანხამ შეადგინა 1736 ლარი.

საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ძირითადი ყურადღება დაუთმო პანდემიის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების ბოლომდე მიყვანას, რაც მოიცავს ფონდების გაწმენდის, წიგნების მოდერნიზაცია-აღდგენის, ფიზიკურად დაზიანებული და შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურის გამოყოფასა და სიების შედგენას მათი ჩამოწერის მიზნით.
ამ მხრივ 2022 წლის პირველი ნახევარი ყველაზე შრომატევადი იყო. იანვრის თვეში დასრულდა მთავარ ბიბლიოთეკაში მხატვრული ლიტერატურის გაწმენდა. ჩამოსაწერად გამოიყო 2200 ცალი წიგნი და შედგა აქტები. მთლიანი ფონდიდან ასევე გამოიყო რუსული მხატვრული ლიტერატურა და მომზადდა ახალ კლასიფიკაციაზე გადასაყვანად.

იანვარში მოხდა გარემონტებული ცხუნკურის ბიბლიოთეკის ინვენტარის შეცვლა _ იგულისხმება წიგნის თაროები, რომელმაც, ბუნებრივია მოითხოვა იქ არსებული ფონდის ხელახალი განლაგება სისტემატური კატალოგის შესაბამისად. 25 იანვრიდან დაიწყო საბავშვო ბიბლიოთეკის გაწმენდა მოძველებული წიგნებისაგან, ამასთან ერთად აქ არსებული 25000 ცალი წიგნი დახარისხდა , შეიკრა და გადატანილი იქნა ჭავჭავაძის ქუჩაძე ყოფილი მესამე საქალაქო ბიბლიოთეკის შენობაში. ამჟამად მიმდინარეობს მათი განლაგება თაროებზე საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

თებერვალში მთავარი ბიბლიოთეკის ჯგუფი მუშაობდა რიონის ბიბლიოთეკაში, სადაც დამუშავდა გაუქმებული ზარათის ბიბლიოთეკიდან გადმოტანილი წიგნადი ფონდი და მოხდა მისი შეერთება რიონის საბიბლიოთეკო ფონდთან. პარალელურად,

მთავარი ბიბლიოთეკა მუშაობდა საგნობრივი კარტოთეკებიდან მოძველებული ბარათების ამოღებასა და განახლებაზე.

აპრილიდან 15 მაისამდე განხორციელდა მუხიანის ბიბლიოთეკის ფონდების აღწერის, ახალდანიშნულ თანამშრომელზე გადაბარების და ბიბლიოთეკის მთლიანი ფონდის გაწმენდის, განლაგებისა და იერ-სახის შეცვლის პროცესი. ამავე პერიოდში მთავარი ბიბლიოთეკის მიერ მოხდა კურორტის ყოფილი ბიბლიოთეკის ფონდების განმეორებითი აღწერა-დახარისხება განთავსების ადგილის მიხედვით და სიების შედგენა ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში გასაგზავნად. აღსანიშნავია, რომ ფონდების გაწმენდით დღის წესრიგში დადგა მისი ახალი წიგნებით შევსების აუცილებლობა, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენისას. საბიბლიოთეკო გაერთიანებაში ჩატარდა პოეზიის საღამოები: "ვკითხულობთ გალაკტიონს", "სტუმრად ტერენტი გრანელის სამყაროში", "ოტია იოსელიანის საბავშვო ლექსები"... სულ მიმდინარე წლის 6 თვეში საბიბლიოთეკო მომსაუხურებით ისარგებლა 2100 მკითხველმა.

პანდემიური შეზღუდვის შემდეგ დამთვალიერებელთა თავისუფალი დაშვება მოხდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუზეუმები დაათვალიერა 1589 ვიზიტორმა, ჩატარდა 168 ექსკურსია და 3 ღია გაკვეთილი. ამას ხელი შეუწყო სამუზეუმო გაერთიანების თანმიმდევრულმა საქმიანობამ სამეცნიერო-საფონდო, სამეცნიერო კვლევითი და საგანმანათლებლო მუშაობის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში მუზეუმების ფონდები შეივსო 30 ახალი ექსპონატით. შესაბამისად გაიზარდა ცალკეული დაინტერესებული პირების მიერ ფონდებით სარგებლობისა და გამოყენების მაჩვენებლები. დაცული დოკუმენტებით ისარგებლა 15-მა ადამიანმა, მომზადდა 8 სამეცნიერო ნაშრომი მუზეუმის შრომათა კრებულში დასაბეჭდად; მოეწყო 5 თემატური გამოფენა; ჩატარდა მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დევიზით "მუზეუმების ძალა". ამასთან დაკავშირებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოცხადდა "ღია კარის დღე", რომელიც გულისხმობდა დამთვალიერებელთა თვისუფალ დაშვებას და უფასო ექსკურსიებს; მომზადდა ასევე ვიდეორგოლები სხვადასხვა თემაზე; მოსმენილი იქნა მუზეუმის თანამშრომლების მიერ მომზადებული საინტერესო თემები; 8 აპრილს სათანადო პატივი მიეგო ღვაწლმოსილ ქალბატონს, სამუზეუმო საქმის ამაგდარსა და სულისჩამდგმელს წყალტუბოში ციალა ღვინიანიძეს, რომელსაც წელს 90 წელი შეუსრულდა.

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრმა მოამზადა და წარმოადგინა რამდენიმე საინტერესო ღონისძიება: სარვამარტოდ, "ქალიც და მარტიც გაზაფხულია"; "სიმღერით დამარცხებული სიკვდილი" – 9 აპრილის აღსანიშნავად; 1 და 13 აპრილს საკონცერტო დარბაზში ჩატარდა სახალხო თეატრის სპექტაკლი "ბადიში"- ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით; "წყალტუბოელთა სიმამაცე მეორე მსოფლიო

ომში" – 9 მაისთან დაკავშირებით; ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია "ეს დღე ჩვენია" - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად; სახალხო დთესასწაული "თამარობა" სოფელ გეგუთში; ლიტერატურული სპექტაკლი "არაკით თქმული სიმართლე"- ოტია იოსელიანის დაბადების 92-ე წლისთავისადმი მიძღვნილი; პრემიერა გ.ნახუცრიშვილის სპექტაკლისა "ნაცარქექია"- აღნიშნული სპექტაკლით კულტურის ცენტრის სახალხო თეატრის დასი წარსდგა იმერეთის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე და წარმატება მოიპოვა ერთ ნომინაციაში; თეატრმა წყალტუბოელი მოზარდებისათვის თოჯინური სპექტაკლები წარმოადგინა ქალაქის ტერიტორიის რამდენიმე ლოკაციაზე და სოფლებში: საყულია, რიონი, სორმონი;

საანგარიშო პერიოდში კულტურის ცენტრის ბიუჯეტი შეადგენდა 429531 ლარს, საიდანაც დაიხარჯა 386875 ლარი. მათ შორის: საღონისძიებო -950 ლარი; კაპიტალური კუთხით დაიხარჯა 8600 ლარი; შეკეთდა და კეთილმოეწყო სოფელ საყულიის კლუბი, მეტალოპლასტმასის ფანჯრები ჩაისვა სოფელ მეორე უბნის კლუბსა და ბიბლიოთეკაში, სოფელ წყალტუბოს ბიბლიოთეკაში, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს საყულიის ბიბლიოთეკაში.

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი" მომავალშიც გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის აქტიურად განხორციელებას და წინასწარ შედგენილი გეგმის სრულფასოვნად შესრულებას.

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
კულტურის ცენტრის" მმართველი



რევაზ მესხი